თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის

საბურთალოს მაჟორიტარის ავთანდილ ცინცაძის ანგარიში

2022-2023

საქმიანობის შესახებ ანგარიში მოიცავს 2022 წლის 2 ნოემბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდს.

- მე-7 მოწვევის საკრებულოში, წარმოვადგენ საბურთალოს რაიონის მოსახლეობის ინტერესებს.
- ვარ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო''-ს წევრი და ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე.
- ასევე, გახლავართ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიისა და ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი.

საბურთალოს რაიონის მაჟორიტარი

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, მე, როგორც საბურთალოს რაიონის მაჟორიტარი წევრი, ყოველდღიურ რეჟიმში ჩართული ვარ მოსახლეობის საჭიროებების იდენტიფიცირების პროცესში. ვცდილობ, ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში და კანონმდებლობის შესაბამისად, გავუწიო თითოეულ მოქალაქეს დახმარება. ჩემს წარმომადგენლობაში, თითქმის ყოველდღიურად გვაკითხავენ ადამიანები სხვადასხვა საჭიროებებით - მეტწილად, სოციალური, ჯანდაცვისა და დასაქმების პრობლემებით. წლის მანძილზე, ჩემს წარმომადგენლობაში 500-მდე მოქალაქეს შევხვდი. გარდა წარმომადგენლობაში გამართული შეხვედრებისა, მოსახლეობის თხოვნით თუ პირადი ინიციატივით, მივდივარ კონკრეტულ მისამართებზე და ადგილზე ვეცნობი ვითარებას. ვფიქრობ, მაჟორიტარის მთავარი ამოცანა მოსახლეობასთან აქტიური კომუნიკაციაა, სწორედ ამიტომ, მათ საჭიროებებზე მყისიერი რეაგირების საუკეთესო საშუალება სოციალური ქსელია. ჩემს ფეისბუქ პლატფორმაზე იტვირთება როგორც საბურთალოს რაიონში განხორციელებული პროექტების შესახებ ინფორმაცია, ასევე, დედაქალაქის მასშტაბით არსებული მნიშვნელოვანი სიახლეები. ჩემს გამომწერებს საშუალება აქვთ, დამისვან შეკითხვები და ოპერატიულად მიიღონ პასუხი. ვეცნობი განსხვავებულ მოსაზრებებს. პროცესი ინტერაქციული და ინფორმაციულია. მაძლევს საშუალებას, დავინახო სრული და რეალური სურათი, შევაფასო მოსახლეობის განწყობა, გამოვკვეთო პრიორიტეტები, რათა საბოლოო ჯამში, დედაქალაქის მთავარ ფინანსურ დოკუმენტში მაქსიმალურად აისახოს მოსახლეობის ინტერესები.
https://www.facebook.com/GDAvtandilTsintsadze

მოსახლეობასთან კომუნიკაციის პროცესში, გამოიკვეთა რამდენიმე ყველაზე აქტუალური პრობლემა:

1. დასაქმება
2. მიწის ნაკვეთების რეგისტრაცია
3. ტრანსპორტთან დაკავშირებული საკითხები
4. მწვანე სივრცეების სიმცირე

პრობლემების მოგვარება და გამოწვევების დაძლევა შეუძლებელია უწყებებთან კოორდინირებული მუშაობის გარეშე. მათთან მჭიდრო თანამშრომლობა გვაძლევს საშუალებას გავიდეთ მნიშვნელოვან შედეგებზე, რაც საბოლოოდ მოსახლეობის კეთილდღეობაზე უნდა აისახოს. სწორედ ამიტომ, საანგარიშო წლის განმავლობაში დაიგეგმა და განხორციელდა რიგი ღონისძიებები, რომელიც მიმართული იყო ამ 4 მთავარი პრობლემის მოგვარებისკენ.

დასაქმება

2023 წლის 25 მაისს, ჩემი ინიციატივითა და სსიპ „დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოსთან“ თანამშრომლობით, საბურთალოს რაიონში გაიმართა დასაქმების ფორუმი. ფორუმზე წარმოდგენილი იყო ათამდე კომპანიის 400-მდე ვაკანსია. მოქალაქეებს შესაძლებლობა ჰქონდათ, კომპანიების წარმომადგენლებისგან მიეღოთ ინფორმაცია კონკრეტული ვაკანსიების შესახებ და დაინტერესების შემთხვევაში, შეევსოთ შესაბამისი აპლიკაციები. ფორუმს პოზიტიური გამოხმაურება მოჰყვა, გააშუქა რამდენიმე ტელევიზიამ, დიდი იყო მოსახლეობის ინტერესიც.

მიწის ნაკვეთების რეგისტრაცია

ვინაიდან, საბურთალოს რაიონს აქვს შემოერთებული ტერიტორიები, ადგილობრივ მოსახლეობას წლებია, აწუხებს მათ სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთების რეგისტრაციის საკითხი. ამ მიზნით, პერიოდულად ვმართავდით შეხვედრებს მერიის წარმომადგენლებთან. საბოლოოდ, დედაქალაქის მერის უშუალო ჩართულობით, იუსტიციის სამინისტროსთან გაფორმდა მემორანდუმი, რომელიც მიზნად ისახავს დედაქალაქის მასშტაბით დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთების სისტემურ რეგისტრაციას. ეს უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება, ეტაპობრივად მოაგვარებს ჩვენი თანამოქალაქეების პრობლემას. ამასთან დაკავშირებით, მაქვს მუდმივი კომუნიკაცია იუსტიციის სამინისტროს შესაბამის სამსახურებთან, რათა ეს პროცესი სწრაფად და ეფექტიანად წარიმართოს. ამ პროცესში, ცხადია, მნიშვნელოვანია თავად მოქალაქეების ჩართულობა. ამ მიზნით, გავმართეთ შეხვედრა საბურთალოს რაიონის, კერძოდ, სოფელი დიღმის მოსახლეობასთან. მათ მიიღეს დეტალური ინფორმაცია პროექტის განხორციელების ეტაპების შესახებ.

ტრანსპორტი

მოგეხსენებათ, ჩვენი გუნდის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი სატრანსპორტო პოლიტიკაა. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი და ამავე დროს, საკმაოდ რთულია სატრანსპორტო რეფორმის ეფექტურად წარმართვა, ვინაიდან დედაქალაქში მცხოვრები ადამიანების რაოდენობა ყოველდღიურად იზრდება. კახა კალაძემ და მისმა გუნდმა მიზნად დავისახეთ სატრანსპორტო მიმართულების ძირეული ცვლილება, რომელიც მიმართულია საზოგადოებრივი ტრანსპორტის პოპულარიზაციაზე და განვითარებაზე. აღსანიშნავია, რომ სრულიად განახლდა ავტობუსების პარკი, ძველი მიკროავტობუსები ახალი, თანამედროვე ევროპული სტანდარტის შესაბამისი მიკროავტობუსების შეიცვალა. დაიხაზა ბასლეინები, ველობილიკები. მიმდინარეობს მეტროსადგურების სრული რეაბილიტაცია, მატარებლის ვაგონების განახლება, საბაგირო ტრანსპორტის განვითარება. წარმატებით განხორციელდა ტაქსების რეფორმა. ყველა ეს ღონისძიება მიმართულია ერთი მთავარი მიზნისკენ - საზოგადოებრივი ტრანსპორტი გახდეს მაქსიმალურად პოპულარული. მართალია, გამოწვევები ჯერ ისევ რჩება, განსაკუთრებით დიდი დიღმის მოსახლეობის წინაშე დგას ავტობუსების სიმცირის პრობლემა. უახლოეს მომავალში, 200 ერთეული 18 მეტრიანი ავტობუსი შემოვა დედაქალაქში, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მგზავრთა გადაყვანას.

მწვანე სივრცეების მოწყობა

2017 წელს, როდესაც პირველად გავხდი საბურთალოს რაიონის მაჟორიტარი და დავიწყე აქტიური კომუნიკაცია მოსახლეობასთან, მათი ერთ-ერთი მთავარი პრობლემა რეკრეაციული სივრცეების ნაკლებობა იყო, ვინაიდან საბურთალო ყველაზე მეტად დაზარალდა წლების მანძილზე მიმდინარე ქაოტური განაშენიანებით. ჩვენი გუნდის ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან მიზნად დავისახეთ ეკოლოგიაზე ზრუნვა და ეფექტური გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარება. ვიბრუნებთ წინა ხელისუფლების მიერ გასხვისებულ სკვერებს, პარკებს, სპორტულ მოედნებს, სადაც მრავალსართულიანი კორპუსების აშენებას აპირებდნენ... დღეს, ამ ტერიტორიებზე დასასვენებელი სივრცეები ეწყობა. საბურთალოს რაიონის გამგეობა ახორციელებს როგორც ახალი სკვერებისა და პარკების მოწყობას, ისე, არსებულის რეაბილიტაცია-განახლებას. მიმდინარეობს აქტიური მუშაობა მოსახლეობასთან, რათა მოხდეს ძველი უსახური ავტოფარეხების დემონტაჟი და მათ ნაცვლად რეკრეაციული სივრცის მოწყობა. ასეთი არაერთი მაგალითია საბურთალოს რაიონში და მე მოხარული ვარ, რომ უშუალო მონაწილე ვარ ჩვენი შვილებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელების საქმეში.

საკრებულოს საქმინობაში მონაწილეობა

მაქვს პატივი, მონაწილეობა მივიღო დედაქალაქისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. წლიდან წლამდე, დედაქალაქის ბიუჯეტი იზრდება, რაც გვაძლევს საშუალებას, მაქსიმალურად გავითვალისწინოთ მოსახლეობის საჭიროებები. უმრავლესობის წევრებმა მხარი დავუჭირეთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ჯანდაცვის, გარემოს დაცვის, სატრანსპორტო თუ ინფრასტრუქტურული მიმართულებით. ჩემთვის, როგორც საბურთალოს რაიონის მაჟორიტარისთვის საყურადღებოა ნებისმიერი საკითხი, რომელიც საბურთალოს ოლქს ეხება.

- საანგარიშო პერიოდში, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა საკრებულოს 15 სხდომა, მიღებულ იქნა 615 განკარგულება და 105 დადგენილება. საკრებულოს სხდომის ფორმატში, მეძლევა შესაძლებლობა პასუხი გავცე ოპოზიციის აბსურდულ ბრალდებებს, მათ დემაგოგიურ განცხადებებსა და მოსახლეობის შეცდომაში შეყვანის მცდელობებს. ჩემი მხრიდან გაკეთებული მწვავე განცხადებები მხოლოდ და მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურება - მოსახლეობამ იცოდეს სიმართლე.

ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ -

თავმჯდომარის მოადგილე

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ 29 წევრისგან შედგება. იგი საერთო პოლიტიკური შეხედულებების მქონე საკრებულოს წევრთა მიერ უფლებამოსილების ეფექტურად განხორციელებისა და საქმიანობის კოორდინირებულად წარმართვის მიზნით შეიქმნა. ფრაქციის წესდების გათვალისწინებით, ფრაქციის სხდომა იმართება თვეში მინიმუმ ერთხელ. სხდომაზე განიხილება დედაქალაქში მიმდინარე მნიშვნელოვანი საკითხები, რის შემდეგაც მზადდება პოზიცია და რეკომენდაციები, რომელიც, შემდგომში საკრებულოს სხდომაზე, ერთიან, შეუჯერებულ პოზიციაში გამოიხატება.

- საანგარიშო პერიოდიში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციამ ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო” ჩაატარა - 18 სხდომა, განხილულ იქნა 26 საკითხი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საკითხების წინასწარი მომზადების, საკრებულოს გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელშეწყობის მიზნით, აგრეთვე ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით შექმნილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია. კომისია შეიმუშავებს და საკრებულოს წარუდგენს სამართლებრივი აქტების პროექტებს, ამზადებს დასკვნებს საკრებულოს მიერ განსახილველი სამართლებრივი აქტების პროექტების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის თაობაზე, აკონტროლებს პროცედურული საკითხების შესაბამისობას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტთან, შეიმუშავებს რეკომენდაციებს, დასკვნებს, წინადადებებს.

- საანგარიშო პერიოდში, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ ჩაატარა 19 სხდომა, განხილული იქნა 455 საკითხი. ჩატარებული 19 სხდომიდან დავესწარი 17 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 392 საკითხის განხილვაში.

ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისია - კომისიის წევრი

საანგარიშო პერიოდში კომისიამ ჩაატარა 24 სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა კომისიის კომპეტენციაში შემავალი სხვადასხვა საკითხები (საერთო ჯამში 302 საკითხი):

ბიუჯეტი

განვიხილეთ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის წლიური და 2023 წლის 3 და 6 თვის ბიუჯეტის შესრულება.

დადგენილების პროექტები:

მათ შორის:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ბოლო ცვლილებების გათვალისწინებით , ბიუჯეტის მოცულობამ შეადგინა 1 833 083,6 ათას ლარი.

2022 წლის ნოემბრიდან დღემდე კომისიის მიერ შესწავლილია სსიპ ქონების მართვის სააგენტოდან შემოსული 295 პროექტი.

საცხოვრებელი ფართების დაკანონება.

ქალაქის მერისა და თბილისის საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, ვაგრძელებთ საცხოვრებელი ფართების დაკანონებას იმ მოსახლეობისთვის, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ცხოვრობენ დაკავებულ ფართებში და ამ

პერიოდში არ ქონდათ შესაძლებლობა შეეცვალათ საცხოვრებელი პირობები. დაახლოებით 240-მდე ოჯახს, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობდნენ და სარგებლობდნენ უძრავი ქონებით, სიმბოლურ ფასად 1 ლარად გადაეცათ შესაბამისი ქონება (საცხოვრებელი ფართი, საერთო ჯამში დაახლოებით 13140.29 კვმ).

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა, რაც კომისიის მიერ იქნა შესწავლილი არის კოოპერატიული და დაუსრულებელი ბინათმშენებლობით დაზარალებულთა დასახმარებლად მიღებული გადაწყვეტილებები.

აქტივობები

- ✓ **„ახალი წელი ჩემს უბანში“**

ჩემი ინიციატივით, საბურთალოს რაიონში, 4 სხვადასხვა ლოკაციაზე, პატარებისთვის საახალწლო ღონისძიებები გაიმართა. ღონისძიებების უზრუნველყოფაში ფინანსური მხარდაჭერის სურვილი კერძო კომპანიებმა გამოთქვეს. მათ დახმარებით, შევძელით პატარებისთვის განსაკუთრებულად მხიარული დღეები გვეჩუქებინა.

- ✓ **საცხოვრებელი ფართების დაკანონება**

საანგარიშო პერიოდში, საბურთალოს რაიონში მაცხოვრებელ 24 ოჯახს საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი გადაეცა. ასევე, კოოპერატივით დაზარალებული 104 ოჯახი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილდა.

- ✓ **ინფრასტრუქტურული, რეკრეაციული პროექტები**

წლის განმავლობაში, საბურთალოს რაიონში აქტიურად მიმდინარეობს მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. გამოვარჩევ ზურაბ ჟვანიას სახელობის მოედნის რეაბილიტაციის პროექტს, ასევე, მაჭავარიანის ქუჩისა და მარშალ გელოვანის დამაკავშირებელი გზის მშენებლობას. საბურთალოს რაიონის გამგეობა არაერთ მისამართზე ახორციელებს გზის მოწყობის სამუშაოებს. რეაბილიტაციას უკეთებს სკვერებს, აწყობს ახალ რეკრეაციულ და სპორტულ სივრცეებს. პროექტების განხორციელების ყველა ეტაპზე ვეცნობი სამუშაოებს და შესაბამის ინფორმაციას ვაწვდი მოსახლეობას, რადგან მათი ჩართულობა და მონაწილეობა უმნიშვნელოვანესია ადგილობრივი მნიშვნელობის პროექტების განხორციელების პროცესში.

- ✓ დიდ დიღომში ფეხბურთის ფედერაციის სტადიონის მიმდებარედ 5000 კვ.მ ფართობზე მოეწყო ახალი რეკრეაციული სივრცე, სადაც დაირგო 600 მდე სხვადასხვა ჯიშის ხე-მცენარე, მოეწყო გარე განათების ქსელი და სარწყავი სისტემა.
- ✓ სოფელი დიღომი, ვაჟა ფშაველას ქუჩაზე მოეწყო სტადიონი.
- ✓ სოფელი დიღომი, ჩარგალეთის ქუჩა განხორციელდა საგზაო სამუშაოები.
- ✓ საბურთალოს რაიონში მარშალ გელოვანის და მაჭავარიანის ქუჩის დამაკავშირებელი ახალი გზა გაიხსნა. მოეწყო გამწვანებული კუნძულები და გზის გარკვეულ მონაკვეთებზე განთავსდა ფერდების დამცავი ბადეები.
- ✓ დიდ დიღომში მულტიფუნქციური ცენტრის მშენებლობა დასასრულს უახლოვდება. ცენტრში განთავსებულია ფეხბურთის, კალათბურთის ტანვარჯიშის და საჭიდაო დარბაზები, აუზი და სხვა სპორტული სივრცეები. მულტიფუნქციური ცენტრი გაზაფხულზე დაიწყებს ფუნქციონირებას.

ანგარიში 2023